



### საუბირო საჩუქარი

21 ოქტომბერს რუსთავის მეტალურგიულ ქარ-  
ხანაში ამუშავებულმა ახალმა მარტენის ლუმელმა  
მოგვცა პირველი ფოლადი.

ეს ვარვარა უცვავლები,  
ნაპერწყლებში რომ ანთია,  
რუსთაველთა თაიგული —  
საოქტომბრო ნობათია!

საამაჟო შრომის ნაყოფს  
კვლავ ბარაქა — სხივუკლებლად, —  
დე იმატოს წარმატებამ  
მშობელ ქვეყნის სადიდებლად!

ნაბ. დ. ერისთავისა


№ 21

ნოემბერი თბილისი

1957

# ნაბეჭადი





დაქარგული  
საწვიმარი  
და ჩაბლილი  
პაემანი

ბავშვივით მიხარია ახალ რამეს რომ შევიძენ, მეტადრე კი ტანსაცმელს, და კიდევ უფრო მეტად — თუკი ეს ახალი კარგიცაა და იაფიც.

სწორედ ასეთი გახლდათ ჩემი საწვიმარი. იგი სრულიად შემთხვევით ვიყიდვის. ის იყო დავცილდი ჩემთვის საინტერესო ქალიშვილს და მომავალი პაემანის მოლოდინში სიამოვნებით ვიტრინებოდი ვიტრინასთან, რომ შევნიშნე რუსთაველის პროსპექტზე მოთავსებულ მზატანსაცმლის მაღაზიიდან გამალიზიანებლად გამოჰქონდათ მკლავზე გადაკიდებული საწვიმრები. ბედზე ფულიც თან აღმომაჩნდა.

— ზომა ორმოცდაათი, სიგრძე — მესამე, — ლაკონიურად მივმართე გამყიდველს. გავისინჯე, თითქოს ჩემზე ყოფილიყოს შეკერილი: ჯიბე — ჯიბის ადგილას, საყელო, ქამარი და ფოლაქებიც თავიანთ კანონიერ ადგილებზეა. დახვდემ იარლიყს, თურმე თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკისა ყოფილა.

პაემანამდე სამი საათი იყო დარჩენილი, ცა კი იღრუბლებოდა. მე თითქოს მიხაროდა კიდევ, რადგან საწვიმრის ჩაცმის საშუალება მეძლეოდა.

წვიმამ მართლაც არ დამწყვიტა გული და გვარიანად გავილუმპე. მაგრამ ამინდიც ხომ ზოგიერთი ქალიშვილივით ცვალებადია! ცოტა ხანში მზე გამოვიდა, ქარმაც წამოუბერა და ჩემი საწვიმარი სახელდახელოდ გაშრა, ეს კარგი თვისებაც

ჰქონია — მალე შრება-მეთქი, ვიფიქრე.


სახლში დაბრუნება აღარ მინდოდა, რადგან პაემანამდე ერთი საათი-ლა მრჩებოდა. ეს ერთი საათიც გავიდა და სახეგაბრწყინებული მივედი დანიშნულ ადგილას. ჩემთვის საინტერესო ქალიშვილმაც უღალატა ქალიშვილურ ჩვეულებას და ზუსტად გამოცხადდა. მან ჯერ გაიოცა, მერე გაიცინა, შემდეგ კი ცასავით მოიღრუბლა და საყვედურების წვიმა მომეყარა: მე უფრო სერიოზული მეგონე, ხალხს როგორ აცინებ შენზე, ეს ჩემი უპატივცემლობაა, ნუთუ თავმოყვარეობა არა გაქვს? საზოგადოებას მაინც ეცი პატივი. თუ შენი ორიგინალობით ამ კვირას გინდა გამაკვიროვო? და რა ვიცი კიდევ რა. ასე რომ, მანაც კარგად „გამლუმპა“ და ისე წავიდა, რომ ვერ გავიგე რაში იყო საქმე. ბოლოს იმით ავხსენი, რომ ზოგიერთი ქალიშვილი ამინდით ცვალებადია.

პირდაპირ სახლისაკენ ავიღე გეზი და სარკეს მივაშურე, რათა ერთხელ კიდევ შემეთვალყურებინა თავი ახალ საწვიმარში. მეც ჯერ გავოცდი, მერე მოვიღრუბლე, ხოლო შემდეგ საყვედურების წვიმა მივაყარე თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკას. სახელოები იდაყვებამდე დამმოკლებოდა, ჯიბეები ილღების ქვეშ ამოსულიყო, ქამარი გულმკერდზე შემომქეროდა, საწვიმრის ბოლოები შარვლის ჯიბეებს წვდებოდა, ხოლო ფოლაქები არც ერთი აღარ შერჩენოდა, ერთი სიტყვით, გაშრობის შემდეგ შეკუმშულიყო.

გული შემეკუმშა, რადგან ბავშვივით განვიციდი ახალ რამეს რომ დავკარგავ, მეტადრე კი ტანსაცმელს, და კიდევ უფრო მეტად, თუ ეს ახალი კარგიც იყო და იაფიც.

სწორედ ასეთი გახლდათ ჩემი საწვიმარი, შეკერილი თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში.

გ. პატარიძე



ზეიმი იყო ლისის ქუჩაზე. დიდი და პატარა, მოხუცი თუ ბავშვი აღტაცებით შეყურებდა მოგუზუნე ექსკავატორებს, ბულოზერებს, სახელოებდაკაპიწებულ მუშებს, რომლებიც შეუპოვარი ენერგიით შესდგომოდნენ ქუჩის კეთილმოწყობას.

— პირველი მაისისათვის დაამთავრებენ, — ავტორიტეტულად განაცხადა წარჩინებულმა ზეინკალმა თედომ და მეზობლებს გადახედა.

— რას ამბობ, კაცო! — შეესიტყვა მას ხურო მეზურნიშვილი, — ერთ თვეში მზად იქნება.

— კარგი მოგეცეთ, შვილებო, კარგი საქმე დაიწყეთ, — გაღიმებული სახით მიმართა მშენებლებს ღრმა მოხუცმა.

ბავშვებს უხაროდათ მოასფალტებულ ქუჩაზე მომავალი სრიალი, დიასახლისები ორი წლის დაუგველ ქუჩას ასუფთავებდნენ, და ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ამ ქუჩის მცხოვრები მამაკაცები «მალარიჩს» ჩაის ჭიქებით სთავაზობდნენ ერთმანეთს.

ასეთი ზეიმით დაიწყო ლისის ქუჩის კეთილმოწყობა-მოასფალტება. ეს იყო... ამა წლის გაზაფხულზე.

ორი კვირა იმუშავეს მშენებლებმა, ორმოცამდე მეტრი ქუჩა მართლაც მოასფალტეს, ორასიოდე მეტრი ღრმა თხრილებითა და ორმოვებით დასერეს, ქუჩის ერთი მხრის მცხოვრებნი მეორე მხრის მცხოვრებთ დააშორეს, და წავიდნენ.

წავიდნენ და კეთილი მოგეცეთ, ისინი აღარ გამოჩენილან, აღარ გახსენებიათ ლისის ქუჩა და ის სიხარული, რომელმაც მოიცვა იქ მცხოვრებნი ამ უიღბლო ქუჩის კეთილმოწყობის დაწყებისას.

იქნებ ისიც იკითხოთ, თუ რა სურათები წარმოუდგება მნახველს იმ ორმოვებსა და თხრილებში, რომლებითაც შეამკეს ლისის ქუჩა მის კეთილმოსაწყობად მოსულებმა? ჯადოსანი მხატვრის ფუნჯს გაუჭირდება მისი დახატვა, მაგრამ ორიოდე შტრიხითაც კი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ: წუმპე დგას, ტალახი ბლომდაა, განცხრომაში არიან აღმასხანას ღორები, წვიმის წყლით სავსეა თხრილები, შიგ ცურვაში ვარჯიშობენ ვერას ბატები და ქაბატოს იხვები. ჩვენც ვვარჯიშობთ ტალახის ზელაში და სამსართულიან «მადლობას» ვუთვლით მას, ვინც ლისის ქუჩა თავბედის საწყევლად «კეთილმოგვიწყო».

მანავი ხაზარი





# ჩეჩი

მოქალაქეობის  
კანონი

მას შემდეგ, რაც ხმოვნებისა და თან-  
ხმოვნების წერა დამოუკიდებლად შევი-  
ძელი, ვოცნებობდი, თუ მწერალი არა,  
ჟურნალისტი მაინც გავმხდარიყავი.  
ხომ გავიგონიათ, ადამიანს მხოლოდ ის  
უნდა და იმისკენ მიისწრაფის, რასაც  
მოკლებულია. უცოლო კაცს ოჯახი  
ენატრება, დაოჯახებულს — თავისუფ-  
ლად ნავარდი, გაუთხოვარს გათხოვილ-  
თა ბედი შურს, ხოლო გათხოვილი იმა-  
ზე ოხრავენ, რომ სხვამ უფრო კარგი ქმა-  
რი იშოვა. რამდენივე მოთხრობა დავ-  
წერე. რედაქციები შემოვატარე, არ  
დამიბეჭდეს. სათანადო ორგანოებს მი-  
ემართე ზვიდან ზემოქედების მოხდენ-  
ის მიზნით. სასურველი შედეგი არც ამან  
მომცა. ლექსების წერა დავიწყე. რამ-  
დენიმე მათგანი, არ ვიცი მოეწონათ,  
თუ რედაქტორ-გამომცემლებს რომ  
თავი მოვაბეზრე, იმიტომ დამიბეჭდეს.  
ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა,  
მაგრამ ჩემი ლექსების ბეჭდვას ზღვარი  
დაუდეს. დრამატურგიაშიც ვცადე ბე-  
დი. რამდენიმე ტრაგედია გადავიკით-  
ხე და, მე მგონი, კარგა გვარიანი დრა-  
მა შევქმენი თანამედროვეობაზე, ძვე-  
ლი სიუჟეტითა და ახალი კონფლიქ-  
ტით. არც ერთმა თეატრმა არ მიიღო.  
მითხრეს თეატრის დირექტორთან პიე-  
სის მიღებაზე უნდა ცალკე საქმიანად  
მოილაპარაკო და ყველას საერთო ნა-  
ცნობიკ არ დაიშუროო. წარმოიდგინეთ,  
ამ უკანასკნელმა საშუალებამ ვასტრა,  
მაგრამ დირექტორისაგან მოწონებუ-  
ლი და მიღებული პიესა მაყურებელმა  
არ მიიღო და არ მოიწონა. ერთი სიტ-  
ყვით, ჩემმა დრამამ სცენაზე დიდხანს  
ვერ იბოგინა. რა უნდა მეღონა. ჩემი  
ბავშვობის ოცნება საპნის ბუშტივით  
მიქრებოდა და ყველასაგან დაუფასე-  
ბელსა და მიუსაფარს სამუდამოდ და-  
ვიწყების საფრთხე მემუქრებოდა. გა-  
დავწყვიტე კრიტიკაში მეცადა ბედი.  
ერთი დაუმსახურებლად გაბერილი  
ავტორიტეტის რომანი ავიღე და რე-  
ცენზიის წერას შევუდექი. პირველი  
ორი სტრიქონის დაწერაც ვერ მოვას-  
წარი, რომ რომანის ავტორის წერი-  
ლი მივიღე. რალაც მანქანებით შეეტ-  
ყო, რომ მის რომანზე კრიტიკული წე-  
რილის დაწერას ვაპირებდი და წინას-  
წარ მაფრთხილებდა: „ვითვალისწინებ  
რა ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულე-  
ბას და თქვენს ვაჟკაცურ ბუნებას, გა-  
მოვთქვამ რწმენას, რომ ობიექტურ და  
მიუდგომელ რეცენზიას დაწერთ“. რა  
თქმა უნდა, ობიექტურსა და მიუდგო-  
მელში ის მისი რომანისადმი ხოტბის  
აღვლენას გულისხმობდა. ამისათვის კი  
თვითონვე მაძლევდა შესანიშნავ მაგა-  
ლითს, როცა ჩემს, სრულიად უცნობის  
ბუნებას ვაჟკაცურს უწოდებდა, ხოლო  
ჩვენს დამოკიდებულებას — მეგობრულს.

ასეთი ავტორიტეტის წინააღმდეგ  
გალაშქრებას ისევ დუმილი ვამჯობი-  
ნე. გადავწყვიტე თეატრალური დადგ-  
მების შესახებ დამეწერა პირუთვნელი  
აზრი: „ვერავითარ კრიტიკას პიესა  
ვერ უძლებს, დადგმა რეჟისორულად  
ვერაა სათანადოდ დამუშავებული.  
ცალკეულ როლებს (აქ მსახიობების  
გვარები ჩამოვთვალე) ასრულებენ  
უსულგულოდ, ზერელედ და მხოლოდ  
იმიტომ, რომ თავისი მოვალეობა მო-  
ინახდონ“. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ  
ჩემს წინააღმდეგ დაიწყო დრამატურგ-  
თა, რეჟისორთა და მსახიობთა შემო-  
ტევა. სახელიც მომიძებნეს. ყველაფერს  
მოდებულნი და ყველგან ხელმოცარუ-  
ლი ინტრიგანი შემარქვეს. და ეს მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ პატარა რეცენზია-  
ში ერთხელ გავხედე ქეშმარიტების ნა-  
პერწყალი შემეპარებინა.

კინორეცენზიით, რომელშიც ერთი  
მწერლისა და სცენარს მიტმასნებულნი  
რეჟისორ-თანაავტორის „კოლექტიუ-  
რი“ სცენარი განვიხილე, ერთი ორიოდ  
სიტყვა ფილმში მონაწილე მსახიობთა  
თამაშზეც ვთქვი, მთელი ხელოვნების  
მუშაკთა სამყაროს აღშფოთება გამო-  
ვიწვიე. ამის შემდეგ ჩემთვის ყველა  
ჟურნალ-გაზეთის კარი მაგრად გამოი-  
ხურა. რას იზამ, რედაქტორ-გამომცემ-

ლებიც ხომ ხალხია და საზოგადოებ-  
რივი აზრი, რომელიც, ჩემის აზრით,  
არამც და არამც არ უნდა გავიგოთ  
ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით,  
მათაც საყვედურობს. „რას ერჩოდით  
ამა და ამ კაცს? რატომ დაუწერეთ  
ასეთი რეცენზია? ეს ხომ ადამიანის  
ცოცხლად დამარხება! ეს ხომ ტენდენ-  
ციურობა! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ  
ადამიანს თავი მოაკვლევინოთ!“ და  
ასე შემდეგ, მიდი და თავი იმართლე!  
ყველანი ხომ ჩემს წინააღმდეგ არ  
უნდა განმეწყო და ამემხედრებინა,  
ყველას ხომ არ მოვადულებდი თავს,  
მით უფრო, რომ მეც ხომ ერთი თავი  
მაქვს და ადამიანი გახლავართ. დიდი  
ფიქრისა და ძიების შემდეგ ლიტერა-  
ტურის ისტორიაში გადავწყვიტე მუ-  
შაობის დაწყება.

პირველად აქაც მიმუხთლა ბედმა.  
მართალია, მიცვალბეზულებს ხმა არ  
ამოუღიათ, თქვენთვის გასაგები მიზე-  
ზების გამო, მაგრამ ცოცხლებმა, ვისაც  
ამ დარგში ჩემზე აღრე დაეწყო კვლე-  
ვითი მუშაობა, ერთი გოლგოთა აღ-  
მართეს და განვაში ასტეხეს — ამან რა  
კვლევითი მუშაობა უნდა აწარმოოსო?  
მაგისი ნაწერები ვის რას მისცემენო?  
ის მამაცხონებულები ამას ისეთი რი-  
ხითა და სიამაყით გაიძახოდნენ, თით-  
ქოს მათი წიგნები ჩვენი ლიტერატურ-  
ის კლასიკოსების ნაწარმოებთა ში-  
ნაარსის მოყოლა და უბრალო კომენ-  
ტარების დართვა კი არ იყოს, არამედ  
ორიგინალური ნაწარმოები...

თქვენთვის ახლა ნათელია, თუ რა-  
ტომ ხვდებიან ჩვენი ლიტერატურის  
კლასიკოსები ჩემი და ჩემი კოლეგების  
საკმაოდ სქელტანიანი წიგნების გამო-  
სვლას სამარისებური დუმილით, და  
რატომ სჯობია იყო ლიტერატურის  
ისტორიის კრიტიკოსი.

მ. მესხი

ნან. ჯ. ლოლუასი



— ჰო, რა მოხავალი აქვს არისტოს, იცოცხლე მაგან წელს  
ღვინო დააყენოს!







# თავისთვის იზიარებთ თუ არა?

გაშავებულმა ჩითის კაბიანმა ქალიშვილმა გადაჭრა.  
— მთაწმინდის რეკლამული ნტი.  
— იზიარებთ თუ არა? — იზიარებთ თუ არა? — იზიარებთ თუ არა?  
— ჯანდაბას ყველაფერი, წავიდეთ, ჩემი სტიპენდიის შესანდობარი დავლიოთ.

მზემ პირველი სხივი ესროლა მთაწმინდას. ილიძეებს საქართველოს დედაქალაქი. «თბილისის ამოუწურავი ლირიკა», — ამბობენ პოეტები. «ჯერ კიდევ ვერ გაგვიგია ევროპა, თუ აზია», — ამბობენ უცხოელები.

— ლაპარაკობს თბილისი, დილა მშვიდობისა, ამხანაგო რადიომსმენელებო, ვიწყებთ...

- მაწონი, მალაკო!
- ყვავილების მიწა!
- წურბელა, წურბელა!

— შენ დაგენგრა ოჯახი, ჩემს ფანჯარასთან რომ არ იყვირო, ქუჩა გამოილია თბილისში?

— ბოდიში, ჩემო ბატონო, მაგრამ რა ვქნა, ვილაცასთან ხომ უნდა ვიყვირო. ისე, წურბელას ჯიშინას მოგართმევ.

— ლაპარაკობს თბილისი, გადმოგცემთ განცხადებებს. დღეს ვაკის პარკში შედგება ფეხბურთის მატჩი ვეტერანებსა და...

ცისფერთვალა ქალიშვილმა ლოგინიდანვე გააპარა ხელი ტელეფონისაკენ.

— ალლო, ნაირა ხარ? გოგო, გამოგივლი, პარიკმახერთან წავიდეთ.

- როგორ გინდა თმები გაიკეთო, ისევ «ალა გარსონ»?
- არა, ახლა «პიკასო» მოდაში.
- რა ბლუზით მელაპარაკები?
- მინორში ვარ. თორმეტ საათზე მზად დამიხვდი. საპარიკმახერო თბილისში მთელი ბოქემაა.
- ჩვენი ძმა, რომელ კინოდან გაგვრიტო?
- ჟერარ ფილიპსკი.
- ეგრე რომ იპრანჭები, მანანასთან მიდიხარ? — ჰკითხა მეგობარმა.

- სინკა-ლილააა...
- სე-სი-ბონ...
- გაიგე? დიკენსზე ყოფილა ხელმოწერა.
- გაიარეთ, დგომა არ შეიძლება.
- პრაგრამა ფუტბოლა!
- მოქალაქენო, გადადით მხოლოდ გადასასვლელებზე...
- ბურთი აქვს ხასიაის, გადააწოდა ცენტრში, საჭიროა დარტყმა, კართან არეულობაა, მაგრამ...
- პენააააა!
- სუდია იმპრესიონისტი!
- კაცო, მაგას სტადიონზე რა უნდა! ჩემთან მოვიდეს ჩექმების არტელში, იქ ვამუშავებ.
- ნუ იგინები, ხომ ხედავ ქალები სხედან.
- ენას მოუკელი, თორემ...
- ხელი, ხელი გასწი!
- კაცო, სემიჩკა რომ თავზე არ დამაყარო, ისე არ იქნება?

— ლაპარაკობს თბილისი. ვიწყებთ კონცერტს რადიომსმენელთა დაკვეთით. ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობა «წინსვლის» მოწინავე მწველავი ხარსანია და არტელ «ჩვენი მარიფათის» თავმჯდომარე გორდაშვილი გვთხოვენ მოვასმენინოთ «ლაკრიმოზა» მოცარტის რეკვიემიდან. ასრულებს საკავშირო რადიოს სიმფონიური ორკესტრი.

— მა რა გეგონათ, ხალხს იმას ვატყვევინებდი, პლატონ მიხაილიჩმა მუსიკა არ იცისო?! თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო. ჩემმა ქვისლმა რომ შუბერტი დაუკვეთა, მითომ რაო? შუბერტი მოცარტთან ისეა, როგორც უფაქტურო საქონელი.

ნახ. თ. ჯიშკარიანისა



— მანანას ერთი თვეა რაზვოდი მივეცი ვილაც დოცენტზე თხოვდება თურმე.

— ჩაუწვიხარ და ეგაა.

— არაფერი შეგეშალოს.

— კაცო, ქირურგი არა ვარ, მაგრამ ქალის ფსიქოლოგია კარგად ვიცი. — ეუბნება პარიკმახერი, — ერთი ქიშმირის კაბა უყიდე, როგორც წასულა, ეგრევე უკან დაგიბრუნდება. გაამოს, გენაცვალე...

მეგობრები ქუჩაში გავიდნენ. გზა ზღვაზე

რესტორანში კი...

— ოფიციანტ, ხუთი ბოთლი კიდევ მოიტა, გამოგზავნილივით მივიღებ.

— ამ წუთში, გენაცვა.

— ააა, ბატონ ვალიკოს გაუმარჯოს, ჯარიმა შემოსწრებულს!

— რაა, ბიჭო, სულ ლოთობ, ერთი სასარგებლო საქმე შენი ხელიდან არ გამოვა.

— მაგი არ მითხრა, დღეს ერთი უნიჭო დრამატურგი დავათვრე და ახალი პიესა დავახვეინე, ვინსენი ხალხი წამებისაგან.

— ენა რომ არ გქონდეს, რა გეშველებოდა.

— დავგიფასებენ ამაგს.

სეროჟამ კლარნეტი ააკენესა:

გუშინ ვინილე ლალატის დილაა, ფერმკრთალი იყო შასახედავად, გულის კარებზე მომიკაკუნაა...

— აჰა, ხუთი თუმანი, ოღონდ მაგი გააჩერე.

მთვარემ ღიმილით გადმოხედა ქუჩაში აყირავებულ ურნას, მერე ბნელ შესახვევში გააპარა თვალი.

უკანასკნელი სხივი კი... რა ხანია მოწყდა მახათას.

იძინებს საქართველოს დედაქალაქი.

გ. ზანჯიქიძე

— ერთი წუთით წავალ და მალე დავბრუნდები. ხომ დამიმახსოვრებთ? — თქვენ ნამდვილად დავიმახსოვრებთ!



**პატივცემულო ნიანგო!**

(ქ. ბათუმი)

ჩვენი ქუჩა (ენგელსის ქ.) პატარაა და უიღბლო. ამ ქუჩაზე ისეთი ახირებული ხალხი ცხოვრობს, რომელიც თურმე წყალს ხმარობს... სასმელადაც და, ასე გასინჯე, საოჯახო მოხმარებისათვისაც.

ეს საკვირველი ამბავი წერილობითაც კი დაუმტკიცდა ბათუმის წყალსადენის მესვეურებს. შენ წარმოიდგინე, მათ ეს გულთან ახლო მიიტანეს და ყოყმანის შემდეგ სთქვეს, ადვილი შესაძლებელია მათ წყალი ნამდვილად სჭირდებოდეთო. მეტიც: პირობა დაგვიდეს, ნამდვილ მიღებში ნამდვილ წყალს გამოვუშვებთ, ღმერთმა მოგახმაროთო.

არც ქალაქის საბჭო აღმოჩნდა გულქვა: წყალზე უარს როგორ გეტყვი, მაგრამ სამშენებლო მასალები სადა გვაქვს, როცა გვექნება—«ბაშუსტაო».

პატივცემულო ნიანგო, მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ჩვენთვის წყლის მოწოდება დღესაც არ უწყალობებია ქალაქის წყალსადენს.

გ. ნავსადგურელი

**ამხანაგო, ნიანგო!**

(ზემო-ვეძისი)


ცხადია, იცი, თბილისის უბნად რომ ითვლება ზემო-ვეძისი. ალბათ ისიც იცი, რომ ამ ახალ უბანს ახალი და ლარდაკრული ქუჩები გააჩნია. რომელი მათგანაც კეთილმოწყობილია, მას რემონტსაც არ აკლებენ.

მაგრამ, აი, დანარჩენ ქუჩებს რომ ლაბარაკი შეეძლოთ;—ჩვენი ქუჩა (ზოგრეთის ქუჩა) შემოგტირებდათ: «მიშველეთ, უპატრონოდ მიმატოვესო». მართალიც იქნებოდა, ამხანაგო ნიანგო, ეს საცოდავი ქუჩა ისე გარიყეს და გაინაპირეს, რომ საცაა ენას ამოიღვამს. ჩემს გვერდით ვიბორგის, ლვოვისა და სხვა ქუჩები რომ კეთილმოაწყვეს, მე რაღა დავაშავო.

მართლაც რა დააშავა? ის ხომ არა, ნიანგო, სახლებში რომ გვევიარდება, ტალახში რომ გვეფლობით, უქვამენილოდ ფეხები რომ გვეყვლიფება?

მაგრამ ეს ხომ ჩენი ბრალი არ არის, ამაში ბრალი კომგანს უნდა დასდოს.

ჯემ-შარი



ორი ნაცნობი არაყს მიირთმევს.  
— პან მილეცი, როდესაც შინ ბრუნდებით, ცოლი არ გეჩხუბებათ?  
— მე უცოლო ვარ.  
— ეშმაკმა წაგიღოთ! მაშ რა მიგარბენინებთ გარეთ?

\* \* \*

ამ 32 წლის წინათ მარსელის სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა სამ ავაზაკს. ზღვის პირას სამი უზარმაზარი სახრჩობელა აღმართეს. მსჯავრდადებულთაგან ორი პარიზელი იყო და მათ მდიდარი ნათესავები ჰყავდათ, რომლებმაც მოახერხეს ჯალათის მოსყიდვა. ამან ისე გადასერა მარყუქი, რომ ვერაფერს შენიშნა.

დადგა დღე განკითხვისა. ჯალათმა ჯერ პარიზელები ჩამოაკიდა, მარყუქმა ვერ გაუძლო სიმძიმეს, გაწყდა, ორივე მსჯავრდადებული წყალში ჩაცვივდა და მოუსევს.

მესამე მსჯავრდადებულის რიგმაც მოაღწია, რომელიც წარმოშობით მარსელელი იყო. მან გაქცეულ ამხანაგებს გახედა და ჯალათს უთხრა:

— პატივცემულო ოსტატო, ჩემთან მსგავსი ხუმრობა არ გაბედო, მე ცურვა არ ვიცი!...

\* \* \*

ხადილობისას ერთი სტუმართაგანი მეზობლად მჯდარ მამაკაცისაკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— გთხოვთ მითხრათ, პან, ვინ არის ის გასიებელი ძროხა, რომელიც ჩვენს მასპინძელს გვერდით უზის?  
— იგი დედა იმ ხბოსი, რომელსაც თქვენ ახლა ესაუბრებთ.

\* \* \*

პატარა ბიჭი მილიციელს თხოვნით მიმართავს:

— მიშველეთ, ის ძია ჩემს მამას ცემს!  
— რომელია მამაშენი?  
— ისინი სწორედ ამის გამოსარკვევად ჩხუბობენ...


\* \* \*

წინამოსამსახურე მარისია ადგილს ტოვებს.

— გამომშვიდობებისას მსურს გითხრათ, ქალბატონო, რომ სხვები არცთუ ისე უკმაყოფილონი იყვნენ ჩემით, როგორც იყავით თქვენ. ჯერ ერთი, მე თქვენზე უფრო ლამაზი ვარ. ეს თვით თქვენმა ქმარმა მითხრა. გარდა ამისა, თქვენი კაბები მე უფრო მიხდება, ვიდრე თქვენს. ესეც თქვენმა ქმარმა მითხრა. და ბოლოს, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე უკეთესი კოცნა ვიცი, ვიდრე თქვენ.

— ო, შე უსირცხვილო, ესეც ჩემმა ქმარმა გითხრა?  
— არა, ეს თქვენმა შოფერმა მითხრა!

„შპილიკი“. პოლონეთი.  
თარგმანი კარგინ მლინეკისა



ნახ. ჯ. ლოლუხია

უბექტო ხუმრობა

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჭელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა





განსჯა  
მეტი

განსჯა  
ქმარი ხეობა  
სა დაბლა.  
ყველა.

განსჯა  
გონივრული მკვლელობის  
თით სხვაობის  
განსჯა

განსჯა

განსჯა  
ხეობის სხვაობის  
სხვაობის  
განსჯა

განსჯა  
სხვაობის სხვაობის  
განსჯა

განსჯა  
სხვაობის სხვაობის  
განსჯა

განსჯა

განსჯა

განსჯა  
სხვაობის სხვაობის  
განსჯა

განსჯა